603/2 № 4025

ეროვნული ბიბლიოთეკა




## მზის ქალაქში

მზემ რიჟრაჟიდან აავსო
თბილისი ოქროს სხივებით.
მოხველ მაისო ლამაზო,
ვარდებით გვეციმციმები.

მერე რა-რიგად ბრიალებს
ქალაქი გაბრწყინებული!
დროშების ტყეს აშრიალებს
ქუჩები გაწითლებული.

აგერ ჯეელმა ჩაუქმა,
ლხენით რომ არი გართული,
შავთვალას თვალი ჩაუკრა,
გაჩაღდა ცეკვა ქართული.

ჟღერენ ჩონგურის სიმები,
ისმის ხმატკბილი ჰანგები:
ქალაუ, ვის ელიმები,
მომხედე, მეც ვიდაგები!

მაისს ზეიმობს მამული
ლამაზი, როგორც ოცნება,
ოქრო — ზურმუხტში ჩასმული
ვარდებით გვესხიოსნება.

ვ. ჟურული.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 53 (1689) ○ ორშაბათი, 1 მაისი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.



# ხალხის ზეიმი, შრომის ზეიმი!

დღეს პირველი მაისია!

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს ამ დიდ დღესასწაულს — მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს, მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციური ძალების დათვალიერების დღეს, მუშათა კლასის ინტერნაციონალური სოლიდარობის დღეს.

და ისევე, როგორც ყოველი თავისი ზეიმის დროს სჩვევია საბჭოთა ხალხს, საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მრავალმილიონიან კოლონებად ჩაივლიან დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ტრიბუნების წინ, ისინი ამაყად უპატაკებენ მშობლიურ პარტიასა და მთავრობას თავიანთ ახალ, სულ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებებს.

განვლილ პერიოდში კიდევ უფრო მძლავრი გახდა ჩვენი სამშობლო. მისი მრეწველობა სწრაფი ტემპებით ვითარდება, ისეთი ტემპებით, რომლებიც უცხოა ყველაზე უფრო განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვისაც კი და რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის საბოლოო გამარჯვებას კაპიტალიზმთან მშვიდობიან შეჯიბრებაში; ახალი ქარხნების მილები წამოიმართა ჩვენი თვალუწვდენი მიწაწყლის უამრავ ადგილას; ახალმა ელექტროსადგურებმა გაანათეს საბჭოთა ადამიანების კერა ყველგან, სადაც კი არ უნდა შრომობდნენ ისინი; ახალი ფაბრიკები, ახალი დაზგები, რკინიგზის ხაზები, ელმავლები, ლოკომოტივები, ახალ-ახალი მიღწევები და გამარჯვებანი ტექნიკის ფრონტზე... ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობანი ღირსეულად მიჰყვებოდნენ მხარდამხარ მრეწველობის ამ სწრაფი განვითარების პროცესს. ხვავი და ბარაქა დატრიალდა ამ პერიოდშიც ჩვენი სამშობლოს სოფლად და ქალაქად; შეუდარებლად იმატა სიმინდმა, პურმა, ჩაიმ, სხვადასხვა ტექნიკურმა კულტურებმა; პარტიის მიერ დასახული გეგმის შესაბამისად ახალი გამარჯვებები იქნა მოპოვებული მეცხოველეობის დარგში, ხორცის, რძის და კარაქის წარმოების დარგში; და ყოველივე ამის საფუძველზე, განუხრელად მაღლდება საბჭოთა ადამიანის ცხოვრების დონე: ჩვენში უკვე ველარ ნახავთ სოფელს, სადაც არ იყოს სკოლა, ბიბლიოთეკა, ვერ ნახავთ მხარეს, სადაც არ ციმციმებდეს ილიჩის ნათურები, სადაც თავიანთ კეთილშობილურ როლს არ ასრულებდნენ კულტურის სახლები და სახალხო თეატრები. დღითი-დღე უმჯობესდება ჩვენი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობები. ისევე, როგორც მრეწველობაში, ჩვენს ქვეყანაში გაშლილი საბინაო მშენებლობის ტემპებს და მასშტაბებს ბადალი არ ჰყავს მთელ მსოფლიოში.

სულ ახლახანს, როგორც სამაისო საჩუქარი მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი, იმათადმი, ვინც რწმენით შეჰყურებს სოციალისტური საზოგადოების მძლავრ განვითარებას და თავიანთ საბოლოო, ნათელ მომავალს სჭვრეტს მის გამარჯვებაში, ელვასავით დაიძრა ცნობა საბჭოთა კავშირის მიერ კოსმოსში პირველი ადამიანის წარმატებით გაშვებისა და მისი უვნებლად დაბრუნების შესახებ. ამ ცნობამ, გარდა იმისა, რომ ახალი ერა გახსნა კოსმოსის დაპყრობის ისტორიაში, კიდევ ერთხელ დაადასტურა ის უცილობელი ფაქტი, რომ სოციალისტური, კომუნისტური შრომის საფუძველზე ადამიანს უკვე პრაქტიკულად შეუძლია ოცნება სინამდვილედ აქციოს და მოიპოვოს ჯერარნახული გამარჯვებანი.

ყველაფერი ეს ჩვენი მარჯვენის, შრომის და შემოქმედების, ჩვენი გაბედული გეგმების შედეგია. შვიდწლედი მოქმედებს! შვიდწლედი მძლავრი ნაბიჯებით მიდის ჩვენს ქვეყანაზე და მის მიერ მოპოვებულ გამარჯვებებს უპატაკებს სწორედ დღეს სამშობლოს გმირი საბჭოთა ხალხი, რომელიც ნაირფერი დროშებითა და პლაკატებითაა გამოსული ქუჩებში. მათ რიგებში არიან საბჭოთა ფიზკულტურელები და სპორტსმენებიც რომლებსაც, ისევე როგორც ადრე, ამ განვლილ პერიოდშიც აქვთ მოპოვებული საამაყო გამარჯვებანი.

ისევე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა სპორტიც და ფიზკულტურული მოძრაობაც საბოლოოდ იპყრობს ყველა მწვერვალებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. რომის ოლიმპიური თამაშები და სხვა საერთაშორისო ასპარეზობანი ამის ნათელი დადასტურებაა!

სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენებიც ამაყად, მხნედ მიაბიჯებენ დღეს დემონსტრანტთა მრავალმილიონიან რიგებში და მათთან ერთად გამოხთქვამენ საბჭოთა ხალხების გულისთქმას:

— გაუმარჯოს პირველ მაისს!

— გაუმარჯოს დიდ კომუნისტურ პარტიას!

## საპატიო ნიშანი

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ დააწესა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის სამკერდე საპატიო ნიშანი. ამ ნიშნით დაჯილდოვდებიან სპორტსმენები, რომლებიც ... წლის განმავლობაში ყოველწლიურად შეასრულებენ სპორტის ოსტატის მოქმედ ნორმატივებს.

დადგინდა, რომ პირველი დაჯილდოება მოხდება 1963 წელს სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის დროს. ამასთან დაკავშირებით სპორტის ოსტატის ნორმის განმეორებითი შესრულება ჩაითვლება 1959 წლის 1 იანვრიდან.

საპატიო ნიშნით დაჯილდოებას მოახდენს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი მოკავშირე რესპუბლიკების სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირების წარდგინებით.

## ჩემპიონატი დაიწყო

ბელგრადში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გუნდების ასეთი სიმრავლე ევროპის არც ერთ ჩემპიონატს არ ახსოვს. ბელგრადში თავმოყრილია აღმოსავლეთ ნახევარსფეროს საუკეთესო კალათბურთელები.

გაიმართა პირველი ტურის შეხვედრები. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ბელგიის გუნდი — 89:48, დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: გდრ-უნგრეთი — 64:63, რუმინეთი-საფრანგეთი — 68:66, იუგოსლავია-საბერძნეთი — 68:57, ჩეხოსლოვაკია-შვეცია — 58:33, პოლონეთი-ინგლისი — 78:31, გფრ-იზრაელი — 70:41.

გუშინ საბჭოთა სპორტსმენები ისვენებდნენ. დღეს, პირველ მაისს ისინი შეხვდებიან ესპანეთის კალათბურთელებს.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 4 მაისს.

## სპორტული თემა — სცენაზე, ეკრანზე

### დრამატურგებო, სცენარისტებო, სპორტსმენებო, საჭიროა მჭიდრო კავშირი!

თბილისში ადრეულმა გაზაფხულმა დაიდგა ტახტი. გამოზამთრებული ხეხილები ხშირმა ფოთლებმა დაფარა, თვალს ახარებს სპორტული მოედნების მწვანე სამოსელი. მოვიდა გაზაფხული და თან მოჰყვა სპორტული სეზონი, აღსავსე მომავალი დიდი ასპარეზობებით, დაძაბული სპორტული ბრძოლებით...



სურათზე: საქართველოს სსრ დამსახურებული მსახიობი, სპორტული კომენტატორი კ. მახარაძე.

ამ წარმტაც შეჯიბრებათა მოლოდინში ჩვენც, სპორტის რიგით გულშემატკივრებს, სასიამოვნო ჟრუანტელი გვივლის...

ჩვენთვისაც დაიწყება მალე სპორტული შერკინებანი, ამხანაგური შეხვედრები. მაგრამ როგორი სურვილი გვაქვს, რომ ჩვენი დამოკიდებულება სპორტთან მარტო ამაზე არ შეჩერდეს!

როგორი სიხარულითა და ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი თეატრის მთელმა შემოქმედებითმა კოლექტივმა „ამბავი სიყვარულისა" დადგმას. მართალია, მან ერთობ დიდი ვნებათაღელვა და უარყოფითი რეაქცია გამოიწვია სპორტული საზოგადოებრიობის ერთ ნაწილში, მაგრამ როგორი შედეგებითაც არ უნდა დასრულებულიყო ეს მეგობრული დისკუსია სპორტულ წრეებსა და ხელოვნების მუშაკებს შორის, ჩვენ მაინც ვთვლით, რომ იგი უაღრესად სასარგებლო გამოდგა. ჩვენ დღემდე არ შეგვიცვლია შეხედულება აღნიშნულ სპექტაკლზე, რომელსაც კარგი შეფასება მისცა საკავშირო ცენტრალურმა პრესამ და კერძოდ, გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა".

თუმცა, ჩვენ გვგონია, რომ არ ღირს „ძველი ჭრილობის" გაღიზიანება, ჩვენ სწორედ საწინააღმდეგო გვინდა.

ჩვენ, ყოფილი სპორტსმენები, რომლებსაც სიჭაბუკეში დიდი ლტოლვა გვქონდა სპორტისადმი, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რუსთაველის თეატრის სცენა ხშირად დაეთმოს სპორტულ თემაზე შექმნილ მაღალხარისხოვან პიესებს, რათა ამით კიდევ უფრო გავაღვივოთ ახალგაზრდობის მიდრეკილება და სიყვარული სპორტისადმი.

მაგრამ ეს სურვილი ვერ განხორციელდება, თუ უაღრესად მჭიდრო კონტაქტი არ ვიქონიეთ ფართო აუდიტორიასთან, სპორტსმენებთან, სპეციალისტებთან, გულშემატკივრებთან. სხვანაირად რომ ვთქვათ, სიტყვაც და საქმეც სპორტსმენებს, დრამატურგებსა და სცენარისტებს ეკუთვნით.

ჩვენო სახელოვანო სპორტსმენებო, ძვირფასო დრამატურგებო, დიდი ხანია მომწიფდა სპორტულ თემაზე დაწერილი სპექტაკლის შექმნის საჭიროება! ჩვენი თეატრის მთელი კოლექტივი მოუთმენლად ელოდება თქვენგან პასუხს. ჩვენ ვალში ვართ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის წინაშე. მაშ, გავამართლოთ მისი კანონიერი მოლოდინი!

ეროსი მანჯგალაძე,
ნოდარ ჩხეიძე,
კოტე მახარაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მსახიობები.

### ორი პრემიერა

1938 წელი. აგვისტოს შეხუთული დღე. თბილისის „დინამოს" სტადიონი. ტრიბუნები მოზღვავებულ მაყურებელს აუვსია. ხუმრობა საქმე ხომ არ არის: დღეს ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „ლოკომოტივის" გუნდები.

როცა გუნდები გვირაბიდან ამოვიდნენ და სათამაშოდ დაეწყვნენ, მაყურებლებმა მაშინვე შეამჩნიეს: თბილისის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში ახალი მოთამაშე გამოჩნდა.

იმ პერიოდში მოსკოვის „სპარტაკი" საბჭოთა კავშირის უძლიერეს კოლექტივად ითვლებოდა და მასთან თამაშის დროს ექსპერიმენტების წარმოება, ისიც დაცვაში სარისკო საქმეს წარმოადგენდა.

მაგრამ დაიწყო მატჩი და მაყურებელთა შიშიც წამსვე გაქრა. მოსკოველთა გარემარბმა პროტასოვმა ვერაფერი გააწყო თავისი ახალბედა „დარაჯის" წინააღმდეგ და იძულებული იყო სხვა ფრთაზე გადაენაცვლა.

ეს უკვე აშკარა „კაპიტულაციას" წარმოადგენდა. მაყურებელმა თავიდანვე შეამჩნია და დააფასა ჭაბუკი მცველის შეუპოვარი, თავდადებული და მაღალტექნიკური თამაში.

ის მატჩი „ლოკომოტივმა" მაინც წააგო ანგარიშით 0:1, მაგრამ პრესამ მაღალი შეფასება მისცა 17 წლის მარცხენა მცველის შოთა ჯოჯუას თამაშს და კარგი მომავალიც უწინასწარმეტყველა მას...

შემდეგ დიდი სამამულო ომი... შოთა დროებით გამოეთხოვა ხელოვნების ისტორიის განხრას, თავის საყვარელ გუნდს და მოხალისედ გაეშურა ფრონტზე. თითქმის ბერლინამდე სდია მეომარმა ფაშისტურ ურჩხულს და ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული დაბრუნდა მშობლიურ თბილისში.

ომმა ოდნავადაც ვერ ჩაკლა ახლადდაბრუნებულ ფეხბურთელში სწავლისადმი მისწრაფება და დიდი სიყვარული სპორტისადმი. იმავე წელს იგი საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში ირანს მიემგზავრება.

...ტიპიური აღმოსავლეთის ქალაქი — თეირანი... ხმაურიანი ქუჩები, ჭრელი აზიური ბაზარი: ფინიკის, ხმელი ხილისა და საზამთროს მთები... გრილი დუქანი, რომელშიც ქართველი ფეხბურთელები შევიდნენ. შოთას ამხანაგებისათვის კარგა ხანია იყო ცნობილი მისი დიდი სიყვარული მუსიკისადმი. დუქანში ძველ პიანინოსაც წააწყდნენ. შოთამ ჯერ ქართული მელოდიები შეასრულა, შემდეგ კი ნელნელა თავისი პირველი მუსიკალური ნაწარმოებებიც „შეაპარა" — სპორტული მარშები, რომლებიც სწორედ ირანში გამგზავრების წინა დღეებში დაეწერა.

მომავალში შოთა გაცილებით სერიოზულ დამოკიდებულებას იჩენს მუსიკისადმი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი კონსერვატორიაში შედის.

და აი, მას შემდეგ საკონცერტო დარბაზებში მსმენელები მოწონებით უკრავდნენ ტაშს მის მუსიკალურ ნაწარმოებებს, ისევე როგორც ფეხბურთის მოედ[...] მის მშვენიერ თამა[...] მრავალრიცხოვანი [...] შემატკივრები.

მხოლოდ 1952 წ[...] დატოვა შ. ჯოჯუამ [...] ბურთის მწვანე მო[...]რი. მას შემდეგაც [...]ბის მანძილზე ვი[...]დებოდა და იხვეწ[...] მისი მუსიკალური [...]ტურა. იგი ბეჯითად [...] შაობდა მისი შემ[...] სრულყოფისათვის.

და აი, კანონზომ[...] შედეგიც: მიმდინ[...] წლის 18 თებერვ[...] ვ. აბაშიძის სახელ[...] მუსიკალური მედიის თეატ[...] პირველად უ[...]ნეს მისი ოპე[...] „ორი ქალ[...]ლი", რომელიც გ[...] თბილად მიიღო თბ[...]სის მუსიკალურმა ს[...]გადოებრიობამ.

ნიჭიერი კომპოზი[...]რი არ აპირებს ამ [...] მატებაზე შეჩერ[...] უახლოეს ხანში იგ[...] უდგება მუშაობას [...]რტულ სიუჟეტზე ა[...]ლი ოპერეტის [...]ნას, რითაც ს[...]ღირსეული ხარკი [...] უხადოს საყვარ[...] სპორტს, რომელმაც [...] ვის დროზე ამდენი [...] ხარულის წუთები გ[...]დევინა მას.

შ. მიაზრიშვი[...]



სურათზე: შოთა ჯოჯუა თავის კაბინეტში მუშაობის დროს.

### იდეა არის, როდის შეისხამს ხორცს!

დარბაზში სინათლე ქრება, საპროექტო აპარატიდან აბრეშუმის ძაფივით გაბმული სხივები თეთრ ეკრანს ეცემა. ეკრანზე მოჩანს ცხენოსანთა ასპარეზობა. აი, სტარტიც. ცხენები მოუთმენლად ტოკავენ ადგილზე, მხედრები მსაჯის ნიშანს ელოდებიან. იწყება საინტერესო, დრამატული ეპიზოდებით აღსავსე სპორტული შეჯიბრება, რომელმაც რაიონის საუკეთესო მოჯირითე უნდა გამოავლინოს...

მკითხველი, ალბათ, ფიქრობს, რომ ზემოაღწერილი ამბავი რომელიმე ახალი ქართული სპორტული კინოსურათის ფრაგმენტს წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის.

უკვე კარგა ხანია, კინოსტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო განყოფილების უფროსის მ. მგალობლიშვილის საწერი მაგიდის უჯრაში ინახება თემატიური გეგმა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი მსგავსი სიუჟეტიანი სპორტული კინოსცენარის შექმნას ითვალისწინებს, თითქოს არაფერი უნდა აბრკოლებდეს ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორციელებას, რომელსაც საგულისხმო საორიენტაციო სახელწოდებაც კი აქვს შერჩეული — „შეუპოვარი მოჯირითე". ერთის შეხედვით, ეს მართლაც ასეა. მაგრამ თქვენს ოპტიმიზმს უცებ შეაკვეცება ფრთები, როცა ახლო გაეცნობით საქმის ვითარებას.

სპორტული კინოფილმის შექმნის იდეა წლიდან წლამდე უცვლელად შეაქვთ კინოსტუდიის პერსპექტიულ გეგმებში, მაგრამ საქმე ამაზე წინ ვერა და ვერ წავიდა.

რასაკვირველია, სურვილი და მისწრაფება კარგია, მაგრამ მას საქმეც უნდა მოსდევდეს. განა კურიოზული არ არის ის ფაქტი, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმი" თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მხოლოდ ერთადერთი სპორტული კინოსურათით შემოიფარგლა და ისიც თითქმის ათი წლის წინათ გადიოდა ეკრანებზე. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებ[...]

ჩვენთან საუბარში მ. მგა[...]ლიშვილმა სინანული გამ[...] იმის გამო, რომ ახალგაზრდ[...] თველი დრამატურგები და [...]ლები ერთობ გულ[...]ლად და ათვალ[...]ბით ეკიდებიან ს[...]ტულ თემაზე კინ[...]ნარების შექმნას, ზოგი მ[...]ზერელედ იცნობს სპორტს, ერთი კი ფიქრობს, რომ ეს [...] თემა მის „ერუდიციას" შ[...] გასაქანს არ აძლევს.

რა მცდარი, ყალბი შეხედ[...]ბაა!..

ჯ. შა[...]

ლელო
მე-2 გვ. № 53 (1689)

# სამაისო საჩუქარი რესპუბლიკის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სახელოვანი** შრომითი გამარჯვებებით აღნიშნავენ პირველი მაისის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის დღესასწაულს საქართველოს დედაქალაქის მშენებლები. მათ ააგეს ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სკოლები, სავადმყოფოები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. მაგრამ ყველაზე სასიხარულო, ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რომელიც მოუმზადეს მათ ქალაქის მშრომელებს, **სპორტის მშვენიერი სასახლეა**, ერთ-ერთი მონუმენტური ნაგებობა ჩვენს ქვეყანაში.

სულ რამდენიმე დღის წინათ ამ უზარმაზარი შენობის ყველა კუთხეში დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული. სწრაფად მიმდინარეობდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები შენობის შიგნით, ფუსფუსებდნენ მუშები თაღზე, მიმდინარეობდა შენობის ტერიტორიის კეთილმოწყობა. დღეს კი დიდ, ელექტრონათურებით გაკაშკაშებულ სპორტულ-სადემონსტრაციო დარბაზში ათასობით ადამიანი შეიკრიბა. პატივი — იყვნენ სასახლის პირველი სტუმრები წილად ხვდათ მათ, ვისი ხელითაც იქმნებოდა ეს მშვენიერი არქიტექტურული ქმნილება. მათთან ერთად აქ შეიკრიბნენ სხვა სამშენებლო ორგანიზაციათა, ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივების წარმომადგენლები, სტუდენტები, საბჭოთა არმიის მეომრები.

კრების პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები: **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, გ. ი. ქადაგიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ზ. ა. კვაჭაძე, ა. მ. ლაბახუა**, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, მოწინავე მშენებლები.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **გ. ს. ვაშაკიძემ**.

მტკიცდება დღის წესრიგი: თბილისის მშენებელთა 1960 წლის მუშაობის შედეგები და სკკპ XXII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველ მდივანს **გ. ა. გეგეშიძეს**. ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხები, ამბობს იგი, ემზადებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვთ თბილისის მშრომელებსაც.

კარგად იშრომეს გასულ წელს ჩვენმა მშენებლებმა, რომლებმაც საექსპლოატაციოდ გადასცეს 172 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამან შესაძლებლობა მოგვცა ახალი ბინებით უზრუნველგვეყო 6 ათასზე მეტი ოჯახი.

✦

**მშენებელთა კრება სპორტის სასახლეში**

✦

დიდი მუშაობა განხორციელდა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის შესახებ პარტიისა და პირადად ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მითითებათა შესასრულებლად.

მომხსენებელი შეეხო სერიოზულ ამოცანებს, რომლებიც დასახულია მშენებელთა წინაშე მიმდინარე წელს. საჭიროა კიდევ უფრო განვითარდეს საბინაო მშენებლობა, ქალაქის მშრომელებმა წელს უნდა მიიღონ 175 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. დაიწყება 10-14 სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ხოლო მომავალი წლიდან მასივებზე მშენებლობასთან ერთად გათვალისწინებულია ცალკეული მაგისტრალების განაშენიანება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. გადაწყვეტილია აშენდეს რამდენიმე ახალი დიდი სამრეწველო ობიექტი, განხორციელდეს არსებული ობიექტების რეკონსტრუქცია, გაგრძელდეს თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობა, გაფართოვდეს გაზისა და წყალსადენის მეურნეობა, ელექტროქსელი, ლვარსარინი და საკანალიზაციო ნაგებობანი, გაყვანილ იქნას ახალი მაგისტრალები. შემდგომ განვითარდება სკოლა-ინტერნატების, საავადმყოფოების, საბავშვო, კულტურულ - საყოფაცხოვრებო, სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა.

ათობით სამრეწველო საწარმო მონაწილეობდა სპორტის სასახლის მშენებლობაში. მათ აქ გამოგზავნეს თავიანთი საუკეთესო ადამიანები — მოწინავე მუშები, სპეციალისტები. იგი კომკავშირულ-ახალგაზრდულ მშენებლობად გამოცხადდა. ნება მიბოძეთ, ამბობს დასასრულ გ. ა. გეგეშიძე, პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს, ქალაქის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ, სულითა და გულით გადავუხადო მადლობა ჩვენს სახელოვან მშენებლებს მათი კარგი და დიდი საქმეებისათვის.

სიტყვას ამბობს მთავართბილისმშენის უფროსი **გ. მ. ქართველიშვილი**. იგი ლაპარაკობს საბინაო მშენებლობის მიმდინარეობაზე, დაასახელა ისინი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სპორტის სასახლის მშენებლობაზე.

ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **კ. ა. ჭანჭალეიშვილმა** ილაპარაკა იმაზე, თუ რა სისწრაფით იცვლება ეს ახალგაზრდა რაიონი.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ სასახლის მშენებელთა სახელოვანი კოლექტივის წარმომადგენლის — მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელის **კარლო გოგნიაშვილის** გამოსვლას. ეს ჭაბუკი და მისი მეგობრები ამ მშენებლობაზე მუშაობენ მისი დაწყების პირველი დღიდან. მათ ამოიღეს პირველი კუბური მეტრი კლდოვანი გრუნტი შენობის მომავალი საძირკვლიდან, ხოლო სულ ამ ცოტა ხნის წინათ მუშაობდნენ სასახლის თაღის აწყობაზე. ჩვენი ბრიგადის წევრები, აცხადებს ორატორი, იბრძვიან კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდებისათვის.

რესპუბლიკის ფიზკულტურელთა მრავალათასიანი არმიის სახელით მშვენიერი საჩუქრისათვის მშენებლებს მხურვალე მადლობა გადაუხადა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარემ **გ. ვ. სიხარულიძემ**. მნიშვნელოვანია, ამბობს იგი, რომ ეს შესანიშნავი სასახლე მწყობრში დგება რესპუბლიკის მშრომელთა ეროვნული დღესასწაულის წინა დღეებში. 40 წლის წინათ საქართველოში არ იყო თუნდაც ერთი რამდენადმე წესიერი სპორტული ნაგებობა. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მეოხებით ახლა ჩვენს ფიზკულტურელებს აქვთ შესანიშნავი სპორტული ბაზა. ასეთ ზრუნვას საქართველოს სპორტსმენები უპასუხებენ ახალი მიღწევებით.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა თბილისის ყველა მშენებლებისადმი, რომელშიც მოუწოდებენ მათ გააძლიერონ მშენებლობის ტემპი, უზრუნველყონ სკკპ XXII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

* * *

კრების მონაწილეთათვის ხელოვნების ოსტატებმა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა გამართეს დიდი კონცერტი. უზარმაზარ სასახლეში გაისმა პირველი მელოდიები, ცეკვავდნენ წყვილები, გაისმოდა მხატვრული სიტყვა საბჭოთა ადამიანების, მომავლის მშენებლების პატივსაცემად. (საქინფორმ).

# გვეწვევა მეგობრობის 6 მატარებელი

ზოგი, გაზაფხულის მოსვლას მერცხლის მოფრენით იგებს, ზოგი თბილი და მზიანი ამინდებით. სპორტულ სამყაროში კი გაზაფხულის ბარომეტრს ზურგჩანთააკიდებული მოგზაურები და ავტოტურისტთა მიერ გზისპირას გაშლილი კარვები წარმოადგენენ.



ტურისტული „მერცხლები“ ყველაზე ადრე ჩვენს რესპუბლიკას ეწვევიან ხოლმე. ვერც გაამტყუნებთ: ჭალარა კავკასიონი, ხმაურიანი ხეობები, მარადმწვანე ტყეები და მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ხალხის ისტორიულ ძეგლთა სიუხვე მაგნიტივით იზიდავს უცხოეთისა და ჩვენი ქვეყნის ტურისტებს.

თუ როგორი იქნება მიმდინარე წლის ტურისტული სეზონი, ამაზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკური ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს უფროსი პ. რთველაძე.

მან განაცხადა, რომ საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო ბაზების მარშრუტთა სიმრავლე (38 მარშრუტი) საკავშირო მარშრუტების მეოთხედს შეადგენს, მაგრამ მიმდინარე წლის ტურისტულ სეზონში ჩვენი ბაზები დამატებით 6 ახალ მარშრუტს მოემსახურება.

ერთი მათგანი (№ 88) გაივლის ცენტრალურ კავკასიონზე. ტურისტები გაეცნობიან სვანეთს და მარშრუტს დაამთავრებენ სოხუმში.

საინტერესოა ახალი № 62 მარშრუტიც, რომელსაც ეწოდა „საქართველოსა და სომხეთში“. იგი იწყება დედაქალაქში და სომხეთის რაიონებისა და ქალაქების გავლით მთავრდება ახალ ათონში.

— საერთოდ, — აღნიშნა ამხ. პ. რთველაძემ, — ყველა მარშრუტი მთავრდება შავი ზღვის პირას, რითაც ტურისტებს საინტერესო დასვენების საშუალება ეძლევათ.



წელს, საქართველოს ესტუმრება მეგობრობის 6 მატარებელი, თვითეული 400 ტურისტის შემადგენლობით. სტუმრები დაათვალიერებენ მინერალურ წყლებს, ორი დღით გაჩერდებიან თბილისში, ბათუმში, სოხუმში, გუდაუთასა და გაგრაში. შესვენების დროს სტუმარ-მასპინძელთა ძალებით გაიმართება მეგობრობის საღამოები.

მიმდინარე წლის სპორტული სეზონი საინტერესო მარშრუტს პირდება ზღვის მოყვარულებსაც: თბომავალი „ადმირალი ნახიმოვი“, რომელიც სტარტს ოდესაში აიღებს, ჩაატარებს 6 რეისს და თვითეული რეისის დროს მოემსახურება 1070 ტურისტს.

გასულ წელს საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო ბაზები მოემსახურა 80 ათას ტურისტსა და 465 ათას ადგილობრივ მოსახლეობას.

მიმდინარე წლის ტურისტულ სეზონში, ჩვენი ბაზები მოემსახურება გაცილებით მეტ სტუმარსა და ადგილობრივ მცხოვრებს. მარტო გერმანიიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და ავსტრიიდან საქართველოში ჩამოვა ტურისტთა 90-ზე მეტი ჯგუფი.

ამჟამად უკვე დაიწყო მუშაობა გაგრისა და სოხუმის ტურისტულმა ბაზებმა. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სხვა ბაზები სტუმრებს მიიღებენ მაისის პირველ რიცხვებიდან.

ტურისტთა რაოდენობა განსაკუთრებით გაიზრდება საქართველოს მაღალმთიანი ბაზების (ყაზბეგი, შოვი, ფასანაური, მესტია) ექსპლოატაციის დაწყებიდან (ივნისი).

საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო ბაზები მზად არიან ღირსეული მასპინძლობა გაუწიონ ძვირფას სტუმრებს.

**სურათებზე:** ტურისტული სეზონი წელს ნორჩებმა გახსნეს, კარავიც დადგეს და მწვერვალებიდანაც გადმოხედეს აყვავებულ ბუნებას.

# მ ე ო რ ე
## საერთაშორისო

29 აპრილს, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქალთა მეორე საერთაშორისო ტურნირის მე-4 ტური.

გაფრინდაშვილმა მოუგო ხუგაშვილს, იოვანოვიჩმა (იუგოსლავია) — კოზლოვსკაიას, ხოლო ჩაიკოვსკაიამ — ტიხომიროვას (მოსკოვის ოლქი). ტოგონიძე-ზვორიკინასა (მინსკი) და ლიბერტ (გდრ)-ასენოვას (ბულგარეთი) პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მე-5 ტურში, რომელიც გუშინ დილით ჩატარდა, ყურადღების ცენტრში იყო ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ კ. ზვორიკინასთან. ქართველმა ოსტატმა მანევრულ ბრძოლაში დაჯაბნა მოწინააღმდეგე და მოიგო სამი პაიკი. 42-ე სვლაზე ზვორიკინამ თავი დამარცხებულად ცნო. მორიგი, მეოთხე გამარჯვება მოიპოვა ჩაიკოვსკაიამ, ლიბერტესთან; ერეტოვამ (ჩეხოსლოვაკია) მოუგო ლიტვინსკას (პოლონეთი).

ხუთი ტურის შემდეგ ჩაიკოვსკაიას აქვს 4 ქულა (ოთხიდან), გაფრინდაშვილს — 3 ქულა (სამიდან) და ერეტოვას — 2.5 ქულა (სამიდან).

მორიგი, მე-6 ტური გაიმართება 2 მაისს.



სურათებზე: მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი მარცხნიდან — ჰ. ლიბერტი (გდრ), კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), ო. შილიე (უნგრეთი) და ა. ნიკოლაუ (რუმინეთი).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

☆

# „ლა სკალა“ თუ ჩილი?

ასეთი უცნაური კითხვა, ცხადია ბევრს გააოცებს. მართლაც და რა საერთო შეიძლება იყოს მსოფლიოში განთქმულ მილანის საოპერო თეატრსა და ფეხბურთში მსოფლიოს VII ჩემპიონატს შორის, რომელიც შორეულ ჩილში უნდა ჩატარდეს? მაგრამ არის ადამიანი, რომელმაც მართლაც უნდა გააკეთოს არჩევანი მათ შორის. იგი ცნობილი იუგოსლაველი მეკარე ვიდინიჩია.

ვიდინიჩი ახალგაზრდა მეკარეა, მაგრამ უკვე მოასწრო პოპულარობის მოხვეჭა. მან დიდი წარმატებით ითამაშა ევროპის თასის მატჩებში, სადაც კარს მორიგეობით იცავდა შოშკიჩთან („პარტიზანი“). როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრებაში იუგოსლაველები მეორე ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა ფეხბურთელების შემდეგ. ვიდინიჩი მონაწილეობდა რომის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც ოქროს მედალი დაიმსახურა. ამასთან მან კარგად ჩაატარა ეროვნული ჩემპიონატი და საერთაშორისო მატჩებიც, ხოლო სეზონის ბოლოს ზოგიერთმა სპეციალისტმა იგი ევროპაში საუკეთესო მეკარედაც კი მიიჩნია.

მაგრამ რა შუაშია აქ „ლა სკალა“? ვიდინიჩს კარგად დამუშავებული ულამაზესი ტემბრის ხმა აქვს. მისი ტალანტი კარგადაა ცნობილი იუგოსლავიაში და აი ამას წინათ ვიდინიჩს მიაგნეს „ლა სკალას“ წარმომადგენლებმაც. იტალიელები გაოცებულნი დარჩნენ ვიდინიჩის ხმითა და მისი სიმღერის მანერით. არც აციეს, არც აცხელეს და ახალგაზრდა მეკარეს „ლა სკალას“ სოლისტობა შესთავაზეს. რასაკვირველია, ასეთი შესანიშნავი თეატრის სოლისტობა ჭაბუკი მომღერლისათვის უდიდესი პატივია, იქ ხომ მსოფლიოში ცნობილი „ვარსკვლავები“ მარიო დელ მონაკო, ეტორე ბასტიენინი და მარია კანილია მღერიან. რომელი მომღერალი არ ნატრობს „ლა სკალაში“ მოხვედრას?

მით უმეტეს მოულოდნელი იყო ვიდინიჩის პასუხი, რომელიც მან თეატრის წარმომადგენლებს გასცა: „მე იძულებული ვარ უარი გითხრათ. რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით მივიღებ მიწვევას, მაგრამ ამჟამად ვერ გავხდები პროფესიონალური მომღერალი. მინდა მთელი ჩემი ენერგია მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატისათვის მზადებას მოვანდომო, შემდეგ კი ვნახოთ“.

სპორტულმა მიმომხილველებმა ვიდინიჩს არჩევანი მოუწონეს. მათ ისიც გაიხსენეს, რომ ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო „კატად“ წოდებულმა გამოჩენილმა იუგოსლაველმა მეკარემ ბეარამ, რომელსაც მოცეკვავის ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებენ. საკონცერტო დარბაზებს ბეარამ ისევე ფეხბურთის მოედანი ამჯობინა და დიდი სახელიც მოიხვეჭა, თუმცა დღეისათვის საკმაოდ ხანდაზმულს, იუგოსლავიის დატოვება და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო გუნდს „ალემანიაში“ (ქ. აახენი) გადასვლა მოუხდა.

დღეისათვის იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვიდინიჩმა მცდარი არჩევანი გააკეთა. საქმე აი რაშია: არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იუგოსლავიის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა წარსულში განთქმული ფორვარდი რაიკო მიტიჩი. მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო წინამორბედი მწვრთნელის საქმიანობის კრიტიკით. მიტიჩმა ყურადღება არ მიაქცია „წარსულ დამსახურებას“ და თავიდან ჩამოაყალიბა ნაკრები, რომელიც პოლონელებს უნდა შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. მიტიჩის ექსპერიმენტების შედეგად ნაკრებიდან გამოიყვანეს ცნობილი მარცხენა გარემარბი კოსტიჩი (ყველაზე უფრო შედეგიანი ფორვარდი იუგოსლავიაში) და... ვიდინიჩიც. მის წინააღმდეგ მიტიჩმა განაცხადა, რომ ვიდინიჩი წარუმატებლად იცავს საკუთარი კლუბის „რადნიჩკის“ კარს (ამ გუნდს მეორე ლიგაში გადასვლა ემუქრება). ვიდინიჩი შეცვალა მსოფლიოს წინა ჩემპიონატის მონაწილე კრივოკუჩამ.

ამგვარად, ვიდინიჩის წინაშე მრავალი საკითხი დგას. ჯერ ერთი, მან უნდა აჯობოს შოშკიჩსა ან კრივოკუჩას, რათა ისევ მოხვდეს ნაკრებში. მაგრამ ეს ყველაფერი ამაო იქნება, თუ იუგოსლაველებმა ჩილში გამგზავრების უფლება ვერ მოიპოვეს. ისე, რომ ახალგაზრდა მეკარე და მისი კონკურენტები არამარტო პოლონელებს შეებრძოლებიან, არამედ ერთმანეთსაც.



— ბიჭო, მამაშენი ტალივით მაგრა იყო, ახლა როგორაა?!.
— ბოტვინიკივით.

ნახ. ქ. კასრაძისა.

დღეს! დღეს!



**მუშაობას დაიწყებს „თბილისის ზღვის“ საწყლოსნო სადგური. სეირნობა შეიძლება კომფორტაბელური გემით, კატარღებით, ძრავიანი და ნიჩბიანი ნავებით.**

სეირნობისთვის საფასურის გადახდა შეიძლება გადარიცხვით. დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 3-22-30.

რედაქტორი ი. უგულავა.

# 4 მაისს



**სოხუმში სტარტი მიეცემა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ მოწყობილ მრავალდღიან ველორბოლას „მეგობრობის თასზე“.**


## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას სპორტული, მხატვრული ტანვარჯიშისა და აკრობატიკის მოსამზადებელ ჯგუფებში.

მოსწავლეები სპეციალური სპორტული ნორმატივების ჩაბარების შემდეგ მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრიდან ჩარიცხულ იქნებიან ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის პირველ კლასში. მოსამზადებელ ჯგუფებში მიიღებიან 9-დან 11 წლის ასაკის ბავშვები. განცხადებასთან ერთად საჭიროა წარმოდგენილი იქნას დაბადების მოწმობის ასლი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ორი ფოტოსურათი 3×4-ზე, ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან.

საბუთები მიიღება 1961 წლის 3 მაისიდან. მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. № 7.

სკოლის დირექცია.



2 მაისს

ფეხბურთი

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

„ბ“ კლასი

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „რეზ-ე“ (რიგა)

დასაწყისი 17 საათზე.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორი — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01004